ოქმი:**ო03. 3723233001**

თარიღი:**21/08/2023**

ოქმი № 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2023 წელი, 18 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, ბ. თოიძე, ნ. ქარჩავა, ქ. ხომერიკი, ლ. ბიგვავა, ს. ქარცივაძე, ბ. მელუა, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და 2023 -2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

მომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცედურები, აღნიშნა, რომ იგი შემუშავებულ იქნა აშშ -ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, ისაუბრა მის მნიშვნელობაზე , მისი განხორციელება ხელს შეუწყობს კომისიის როლისა და ეფექტიანობის ამაღლებას, კანონმდებლობით განსაზღვრულ თვითმმართველობის განხორციელებასა და აღმასრულებელი რგოლის შესაბამის სამსახურებზე ზედამხედველობის გაძლიერებას საბიუჯეტო წლის პერიოდში. აღნიშნა, რომ გეგმა შედგება 5-სტრატეგიული მიზნისაგან და ამოცანისაგან. დასახული ამოცანების განსახორციელებლად დასახულია აქტივობები, რომლებსაც თან ახლავს შესაბამისი შეფასების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირი, სხვა მონაწილე მხარე და განხორციელების პერიოდის მაჩვენებლები. სტრატეგიის შესაბამისად შემუშავდა სამოქმედო გეგმა 2023- 2024 წლების პერიოდისათვის. მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა ს. ქარცივაძემ განაცხადა, რომ უმჯობესი იყო სხდომის მასალები უფრო ადრე მიეწოდებინათ კომისიის წევრებისათვის. საბოლოოდ

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი